№ 39994

Date 01.10.2020

RMG GOLD

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდალშვილს

15490
01.10.20
2/CD-2

ქალბატონო ნინო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „RMG Gold"-ი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 21 სექტემბრის N2-836 ბრძანების საფუძველზე ახორციელებს კვარციტული მადნებისა და ბარიტის მადნის გამდიდრების შედეგად მიღებული და დასაწყობებული ოქროსშემცველი კუდების გადამუშავებას (გროვული გამოტუტვის მეთოდით ოქროს ამოკრეფა) ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთში.

მოგახსენებთ, რომ დღეისათვის კვარციტული მადნებიდან ოქროს ამოკრეფის სიმძლავრეები შემცირებულია და საწარმოში დადგა გამოტუტული კვარციტული მადნების გადაბრუნების საჭიროება. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე დაიგეგმა გამოტუტული კვარციტული მადნების გადაბრუნება და ხელმეორედ გამოტუტვა.

აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბარიტის მადნის გამიმდრების შედეგად მიღებული და დასაწყობებული ოქროსშემცველი კუდების აგლომერაცია და გროვული გამოტუტვის მეთოდით გადამუშავება მიმდინარეობს კვარციტულ მადნებზე მოწყობილ საწარმოო მოედანზე. შესაბამისად, გადაბრუნებას დაქვემდებარებული კვარციტული მადნები მოქცეულია ბარიტის აგლომერაციის ტექნოლოგიური კვანძის და ბარიტის გროვული გამოტუტვის მოედნების ქვეშ და დაგეგმილი საქმიანობა თავისთავად მოიცავს საწარმოს ტერიტორიის ფარგლებში ბარიტის კუდების გადამუშავების მოედნის ადგილმონაცვლეობას.

გამომდინარე იქედან, რომ დაგეგმილი საქმიანობა, გამოიწვევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 21 სექტემბრის N2-836 ბრძანების საფუძველზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების შეცვლას, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილი, საქმიანობის განმახორციელებელს აძლევს არჩევანის უფლებას და თუ მიაჩნია, რომ მის მიერ დაგეგმილ საქმიანობაზე აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სკრინინგის პროცედურის გავლის გარეშე სამინისტროს წარუდგინოს სკოპინგის განცხადება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიის დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით გზშ-ის პროცედურის დაწყების მიზნით, განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად

შპს RMG Gold, თბილისი 0193 მ.ალექსიძის #1, მე-3 შესახვევი ტელ: +995 32 247 45 45; ფაქსი: +995 32 291 38 61;
LLC RMG Gold, #1 M. Aleksidze str., 3 Lane, 0193 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 247 45 45; Fax: (+995 32) 291 38 61;
ელ-ფოსტა: info@richmetalsgroup.com; ვებ-გვერდი: www.richmetalsgroup.com
Email: info@richmetalsgroup.com; Web-page: www.richmetalsgroup.com

წარმოგიდგენთ შპს „RMG Gold“-ის კვარციტული მადნებისა და ბარიტის მადნის გამდიდრების შედეგად მიღებული და დასაწყობებული ოქროსშემცველი კუდების გადამუშავების (გროვული გამოტუტვის მეთოდით ოქროს ამოკრეფა) საწარმოს ექპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშს.

დანართი:

1. შპს „RMG Gold“-ის კვარციტული მადნებისა და ბარიტის მადნის გამდიდრების შედეგად მიღებული და დასაწყობებული ოქროსშემცველი კუდების გადამუშავების (გროვული გამოტუტვის მეთოდით ოქროს ამოკრეფა) საწარმოს ექპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში - 1 (ერთი) ეგზემპლიარი (ნაბეჭდი) და ელექტრონული ვერსია;
2. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად).

პატივისცემით,

თორნიკე ლიპარტია

აღმასრულებელი დირექტორი

RMG Gold LLC, GEORGIA
RMG GOLD
* 225359947 *